

ჯ.კ. რომანიშვი



გმოსანი



ბიდლოის



ზღაპრები



შენიშვნები პრემიის

აღბუს დამბდლორისაგან

მკოსანი ბიდლის
ზღაპრები



ქართულ ენაზე „ჰარი პოტერის“ სერიით
გამოცემულია შემდეგი წიგნები:

ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი
ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე
ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი
ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი
ჰარი პოტერი და ნახევარპრინცი
ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები

დამატებითი გამოცემები:

ჯადოსნური ცხოველები და სად ვიპოვოთ ისინი
ქვიდიჩის მრავალსაუკუნოვანი ისტორია
(გამოცემულია *Comic Relief*-სა და *Lumos*-ის დასახმარებლად)

მგოსანი ბიდლის ზღაპრები
(გამოცემულია *Lumos*-ის დასახმარებლად)



მცოსანი ბიდლის ზღაპრები

რუნულიდან ინგლისურად თარგმნა:

პერმიონ გრეინჯერმა

კომენტარები:

ალბუს დამბლდორი

შესავალი, შენიშვნები და ილუსტრაციები:

ჯ.კ. როულინგი

ინგლისურიდან თარგმნა:


ნიკა სამუშიამ

LUMOS

Protecting Children. Providing Solutions.

გაკურსულაპურის
გამომცემლობა






შესავალი *xi*



ჯადოქარი და ხტუნია ქოთანს 3




იღბლის შადრევანი 23



გრძნეულის ბანჯგვლიანი გული 47




ბაჭო-პრანჭო და მისი
ხითხითა კუნძი 67



სამი ძმის ამბავი 91

პერსონალური მიმართვა ჯორჯეტ მალეარისგან
Lumos-ის მთავარი აღმასრულებელი 111



შესავალი

„მგოსანი ბიდლის ზღაპრები“ ახალგაზრდა ჯადოქრებისა და ალქაჯებისთვის დაწერილი ზღაპრების კრებულია. ეს კრებული საუკუნეების განმავლობაში ძილის წინ საკითხავ ზღაპრებად იქცა და დღეს „ხტუნია ქოთანი“ და „იღბლის შადრევანი“ ჰოგვორტსის მოსწავლეებში ისეთივე პოპულარულია, როგორც „კონკია“ ან „მძინარე მზეთუნახავი“ – მაგლ (არაჯადოქარ) ბავშვებში.

„ბიდლის ზღაპრები“ ძალიან ჰგავს ჩვენებურ, მაგლურ ზღაპრებს; მაგალითად, მოხერხებული გმირი ყოველთვის იმარჯვებს, ხოლო ბოროტი – მარცხდება. თუმცა, ერთი აშკარა განსხვავებაც შეინიშნება: მაგლურ ზღაპრებში მთავარი გმირის გაჭირვებათა





თავი და თავი მაგიაა – ბოროტი ალქაჯი მეფის ასულს მონამლულ ვაშლს აჭმევს ან ასი წლით აძინებს, ან უფლისწულს საზარელ ურჩხულად აქცევს. ხოლო „მგოსანი ბიდლის ზღაპრებში, პირიქით, მთავარი გმირები ჯადოქრები არიან, მაგრამ მათაც ჩვენსავით მრავალი გაჭირვების გადატანა უწევთ. „ბიდლის ზღაპრები“ ჯადოქარი მშობლების მრავალ თაობას დაეხმარა შვილებისთვის იმის ახსნაში, რომ ჯადოქრობით, მართალია, შეიძლება, ბევრი პრობლემა მოაგვარო, მაგრამ მრავალ შარშიც გაჰყო თავი.

კიდევ ერთი რამ, რაც ჯადოქრულ ზღაპრებს მაგლურისგან მკვეთრად განასხვავებს ისაა, რომ ბიდლის ჯადოქრები აქტიურები არიან. აშას, ალთედას, ამატას და ბაჭო-პრანჭოს მაგლი მეფის ასულებივით საუკუნეობით კი არ სძინავთ ან დაკარგული ქოშის დაბრუნებას ელიან – ისინი საკუთარ ბედ-იღბალს თა-



ვად განაგებენ. გამონაკლისია უსახელო ქალი-
შვილი „გრძნეულის ბანჯგვლიან გულში“ – ის
მაგლი მეფის ასულის მსგავსად იქცევა, მაგ-
რამ მის ზღაპარს კეთილი ბოლო არ აქვს.

მგოსანი ბიდლი მეთხუთმეტე საუკუნე-
ში ცხოვრობდა. მისი ცხოვრება უმეტესად
იდუმალების საბურველშია გახვეული. ცნობი-
ლია, რომ ის იორკშირში დაიბადა და ერთად-
ერთი შემორჩენილი ხის გრაფიურიდან ჩანს,
რომ უჩვეულოდ ხშირი ნვერი ჰქონდა. თუ
დავასკვნით, რომ მის ზღაპრებში მისი პირადი
შეხედულებებიც არის ასახული, მაშინ ჩანს,
რომ მას მაგლები ჰყვარებია. მათ ჯიუტებად
უფრო მიიჩნევს, ვიდრე ბოროტებად; ბიდლი
შავ მაგიას უნდობლად ეკიდებოდა და სწამდა,
რომ ჯადოქართა მოდგმის უსაშინლეს უბე-
დურებებს სწორედ ადამიანური სისასტიკე,
ზიზღი, ქედმაღლობა და საკუთარი ნიჭის



არასწორად გამოყენება იწვევდა. მის ზღაპრებში იმარჯვებენ არა ძლევამოსილი ჯადოქრები, არამედ – კეთილი, საღად მოაზროვნე და მოხერხებული გმირები.

ბიდლის შეხედულებებს იზიარებდა ცნობილი თანამედროვე ჯადოქარი, პროფესორი ალბუს პერსივალ ვულფრიკ ბრაიან დამბლდორი – მერლინის პირველი ხარისხის ორდენოსანი, ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლის დირექტორი, ჯადოქართა საერთაშორისო კონფედერაციის თავმჯდომარე და ვიზენგამოტის მთავარი მსაჯული. მიუხედავად მსგავსი შეხედულებებისა, ყველას ძალიან გაუკვირდა, როცა დამბლდორის მიერ ჰოგვორტსის არქივებისთვის ნაანდერძე საბუთებსა და ქაღალდებს შორის „მგოსანი ბიდლის ზღაპრისთვის“ დართული შენიშვნებიც აღმოაჩინეს.



აღბათ ველარასდროს გავარკვევთ, დამბლდორმა „ბიდლის ზღაპრებს“ ეს კომენტარები საკუთარი სიამოვნებისთვის დაურთო თუ მომავალში მათ გამოქვეყნებას აპირებდა. თუმცა, ჰოგვორტსის ამჟამინდელმა დირექტორმა, პროფესორმა მინერვა მაკგონაგელმა დიდსულოვნად დაგვრთო ნება, პროფესორი დამბლდორის შენიშვნები ჰერმიონ გრეინჯერის მიერ ხელახლა თარგმნილი „ბიდლის ზღაპრების“ ამ გამოცემისთვის დაგვერთო.

ვიმედოვნებთ, რომ პროფესორ დამბლდორის კომენტარები, რომლებიც ჯადოქრული სამყაროს ისტორიიდან მოყვანილი მაგალითებიტაა გამყარებული, პირადი მოგონებებით და თითოეული ზღაპრის საკვანძო მომენტის ახსნა-განმარტებებით, ჯადოქრებთან ერთად მაგლ მკითხველებსაც დაეხმარება „მგოსანი ბიდლის ზღაპრების“ გაგებასა და შეყვარებაში.



ისინი, ვინც პროფესორ დამბლდორს იცნობდნენ, დარწმუნებულები არიან, რომ იგი ამ პროექტის განხორციელებას სიამოვნებით შეუწყობდა ხელს – ამ წიგნის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ხომ მთლიანად გადაერიცხება საქველმოქმედო ორგანიზაციას Children's High Level Group, რომელიც მზრუნველობამოკლებულ და გაჭირვებულ ბავშვებს ეხმარება.

პროფესორ დამბლდორის შენიშვნებთან დაკავშირებით, დამატებით მხოლოდ მცირე კომენტარის გაკეთება შეიძლება. სავარაუდოდ, ამ შენიშვნების წერა მან ჰოგვორტსის ასტრონომიული კოშკის თავზე მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევამდე თვრამეტი თვით ადრე დაასრულა. ვისთვისაც ცნობილია უკანასკნელი წლების ჯადოქრულ ომზე (მაგალითად, ვისაც „ჰარი პოტერის“ შვიდივე ტომი წაუკითხავს), ადვილად მიხვდება, რომ ამ წიგნის ბოლო



ზღაპრის შესახებ პროფესორი დამბლდორი იმაზე ნაკლებს წერს, ვიდრე იცის ან ეჭვობს. ამის მიზეზი, ალბათ, დამბლდორის სიტყვებში უნდა ვეძიოთ, რომლებითაც მრავალი წლის წინ მან თავის საყვარელ და ყველაზე ცნობილ მოსწავლეს „სიმართლის“ მნიშვნელობა აუხსნა:

„მშვენიერი და თან, საშინელი რამ არის. ამიტომ მასთან სიფრთხილე გჭირდება.“

ვეთანხმებით თუ არა, ალბათ აჯობებს, პროფესორ დამბლდორს ვაპატიოთ სურვილი, დაეცვა მომავალი მკითხველი იმისგან, რისი მსხვერპლიც თავად გახდა და რაც ძალიან ძვირად დაუჯდა.

ჯ. კ. როულინგი
2008 წელი

შენიშვნა სკოლიოებთან დაკავშირებით

როგორც ჩანს, პროფესორი დამბლდორი
ჯადოქარი მკითხველებისთვის წერდა. ამი-
ტომ საჭიროდ ჩავთვალე, რამდენიმე ადგილას
მაგლი მკითხველისთვის უცხო ტერმინის ან
ფაქტის ახსნა-განმარტება დამეერთო.

ჯ. კ. როულინგი






1



ჯადოქარი და სცუნია ქოთან

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კეთილი მოხუცი ჯადოქარი, რომელიც მეზობლების დასახმარებლად ყოველთვის დაუზარებლად და ბრძნულად ჯადოქრობდა. მისი შესაძლებლობის შესახებ რომ არავის გაეგო, თავს ყოველთვის ისე აჩვენებდა, თითქოს ჯადოსნური ნაყენები, სამკურნალო ნახარშები და მაღამოები მის პატარა ქვაბში თავისით მზად-





დებოდა. ამ ქვაბს „ილბლიან ქოთანს“ უწოდებდა. მასთან შორიდანაც მოდიოდა ხალხი. ჯადოქარი ქოთანში ნაყენს ამზადებდა, ყველას მკურნალობდა და ეხმარებოდა.

ყველასთვის საყვარელმა ჯადოქარმა დიდხანს იცოცხლა და სიკვდილის შემდეგ ყველაფერი ერთადერთ ვაჟიშვილს დაუტოვა. ვაჟი კეთილი მამისგან სრულიად განსხვავდებოდა. მისი აზრით, იმათგან, ვისაც ჯადოქრობა არ შეეძლო, არანაირი სარგებელი არ იყო და ხშირად ეჩხუბებოდა მამამისს, მეზობლების დასახმარებლად ნუ ჯადოქრობო.

მამის სიკვდილის შემდეგ ვაჟიშვილმა ძველ ქოთანში პატარა ფუთა იპოვა, რომელზეც მისი სახელი ეწერა. ოქროს პოვნით იმედით ფუთა გახსნა, მაგრამ შიგ რბილი, მცირე ზომის ცალი ფლოსტი აღმოჩნდა. ფლოსტში ჩაკუჭულ პერგამენტის ნაგლეჯზე ეწერა:



„დიდი იმედი მაქვს, შვილო, რომ ეს არასდროს დაგჭირდება“.

ვაჟიშვილმა სიბერისგან გამოჩერჩეტებული მოხუცი გულში გამოლანძღა და ფლოსტი ისევ ქვაბში ჩააგდო. გადანყვიტა, ქვაბი ნაგვის ჩასაყრელად გამოეყენებინა.

იმავე ღამით ერთმა დედაბერმა მიუკაკუნა სახლის კარზე.

– ჩემ შვილიშვილს მეჭეჭები გაუჩნდა, ბატონო. მამათქვენი იმ ძველ ქოთანში მისთვის სამკურნალო ნახარშს აყენებდა...

– მომწყდი თავიდან! – დაუყვირა ვაჟიშვილმა, – შენი ნაშიერის მეჭეჭები რაში მანაღვლებს! – და დედაბერს კარი ცხვირწინ მიუხურა.

იმავე წამს სამზარეულოში ჩხარუნი და ბრაგუნი ატყდა. ჯადოქარმა ჯოხი გაანათა, სამზარეულოში შევდა და საოცარი რამ



დაინახა: მამამისის ძველ ქოთანს თითბრის ფეხი გამობმოდა და ფილაქანდაგებულ იატაკზე საშინელი ბრაგაბრუგით დახტოდა.

გაოცებულმა ჯადოქარმა ქოთნისკენ გაინია, მაგრამ სწრაფადვე უკან დაიხია, რადგან შეამჩნია, რომ ქოთანი მთლიანად მეჭეჭებით იყო დაფარული.

– საძაგელი ქოთანი! – წამოიყვირა მან და ჯადოქრობის მეშვეობით ჯერ ქოთნის გაქრობა სცადა, მერე – განმენდა, ბოლოს კი – სახლიდან ძალით გაგდება. არც ერთმა შელოცვამ არ იმოქმედა. უფრო მეტიც, სამზარეულოდან გასულს ქოთანი ხტუნვა-ხტუნვით გაეკიდა და მასთან ერთად კიბის ხის საფეხურები ჩხარუნ-ბრაგუნით აიარა.

ჯადოქარმა ღამე თეთრად გაათენა, რადგან მეჭეჭებიან ქოთანს ხტუნვა არ შეუწყვეტია, ხოლო მეორე დილით სასაუზმოდ



სამზარეულოში ჩასულს თან ჩაყვა და მაგი-
დის გვერდით განაგრძო ხტუნვა. ჩხარ-ჩხურ!
ჩხარ-ჩხურ!

ჯადოქარს ის იყო, ფაფის ჭამა უნდა დაე-
ნყო, რომ კარზე კაკუნი ისევ გაისმა. ზღურ-
ბლზე ბერიკაცი იდგა:

– ვირი დამეკარგა, ბატონო, ან მომპარეს!
ვირის გარეშე ბაზარში გასაყიდ საქონელს ვერ
წავიღებ. ამაღამ ოჯახი მშვიერი დამრჩება.

– მე კი ახლა ვარ მშვიერი! – უღრიალა ჯადო-
ქარმა და ბერიკაცს ცხვირწინ მიუჯახუნა კარი.

ქოთანმა ჟღარუნ-ჩხარუნთან ერთად ამ-
ჯერად ვირივით ყროყინი და ოხვრა-კვნესა
ატეხა.

– გაჩერდი, გაჩუმდი! – უყვიროდა ჯადო-
ქარი, მაგრამ სადაც უნდა წასულიყო ან რაც
უნდა ექნა, ქოთანი მთელ დღეს უკან დასდევ-
და ყროყინით, ჩხარუნითა და ოხვრით.



სალამოს კარზე მესამედ დააკაკუნეს. ზღურბლზე მდგარი ახალგაზრდა ქალი გულამოსკვნილი ტიროდა.

– ჩემი პატარა ძალიან ავადაა, გთხოვთ, დაგვეხმარეთ! მამათქვენმა მითხრა, თუ გაგიჭირდეთ, მოდიეთო...


მაგრამ ჯადოქარმა კარი მასაც ცხვირწინ მიუხურა.

ახლა ქოთანი პირთამდე მარილწყლით აივსო. ხტუნვისას ცრემლებს იატაკზე ღვრიდა, ყროყინებდა და ახალ-ახალი მეჭეჭები გამოსდიოდა.

მართალია, ჯადოქართან მეზობლები დახმარების სათხოვნელად აღარ მოსულან, მაგრამ ქოთანი მათი გაჭირვების შესახებ ცნობას თავისებურად აწვდიდა. ქოთნის ყროყინს, ოხვრას, ხტუნვასა და ახალ-ახალი მეჭეჭების ამოსვლას, თანდათან ხველა, ბავშვივით



ტირილი, ძალღივით წკმუტუნი, აყროლებული ყველის, ამჟავებული რძისა და მშიერი ლოქორების ფურთხება დაემატა.



ჯადოქარი ვერც ჭამდა და ველარც იძინებდა, რადგან ქოთანი გვერდიდან არ შორდებოდა და არც ჩუმდებოდა.

ბოლოს, ჯადოქარმა ველარ მოითმინა.